საქართველო

GEORGIA

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

AUTONOMOUS REPUBLIK OF ADJARIA

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ №1
ინდ 6500 ტელ 27 00 00

№01-29/10 04 თებერვალი 2015წ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის დანართით განსაზღვრული აჭარის ავტონომიმიური რესპუბლიკის ზღვის დონიდან 1000 მეტრს ზევით არსებულ სოფლების ჩამონათვალში არ მოიძებნება ხულოს მუნიციპალიტეტის დეკანაშვილების ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფელი ქედლები და დიოკნისის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფელი ბეღლეთი. თუმცა ზემოთ აღნიშნული დანართის, აჭარის ავტონომიმიური რესპუბლიკის სოფლების ჩამონათვალში მითითებულია სოფელ - „ ქედელები"-ს და სოფელ „ბეღელი"-ს შესახებ.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ აჭარის მაღალმთიანეთში ზღვის დონიდან 1000 მეტრს ზევით არ არსებობს აღნიშნული სახელწოდების სოფლები („ქედელები", „ბეღელი") რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ კანონში დაშვებული ხარვეზის შესახებ.

გარდა ამისა,,გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ ''საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 28 დეკემბრის N 867 ბრძანებულებით ხულოს მუნიციპალიტეტის, სხალთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ყიშლას გადაერქვა სახელი და ეწოდა სოფელი ,,წაბლიანი" რაც არ არის ასახული „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ'' საქართველოს კანონში.

გთხოთ, უზრუნველყოთ მოცემულ კანონში შესაბამისი კორექტირება, რადგან ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების, ბეღლეთის და წაბლიანის მოსახლეობამ ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით.

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე: ჯამბულ ხოზრევანიძე

2621
06 02 15